



თარგმანი TRANSLATION

იუნუს ემრე - ლექსი

ასმათ ჯაფარიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო, 0179, თბილისი,
ილია ჭავჭავაძის გამზირი №1,
+995599503356. japaridzeasmata@yahoo.com
Orcid ID : 0000-0001-6594-6049

აბსტრაქტი

იუნუს ემრე ცნობილი თურქი სუფი პოეტია. მისი დაბადებისა და გარდაცვალების ზუსტი თარიღი ცნობილი არ არის. ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მეცამეტე-მეთოთხმეტე საუკუნეებში. წერდა რელიგიურ-მისტიკურ ლექსებს სადა, ხალხისთვის გასაგები ენით.

საკვანძო სიტყვები: სამყარო; სიყვარული; ღმერთი; სამოთხე; ეული.

თურქულიდან თარგმნა ასმათ ჯაფარიძემ

* * *

შენი ტრფობის ცეცხლში გახვეულა გული ჩემი, ღმერთო,
აღმოდებულ ჩემს გულს უნდა, მხოლოდ შენ ერთს გენდოს,
ყველა ცოდვა შენი ცეცხლით დაწვას, დამიფერფლოს,
შენ მჭირდები, შენ გენუკვი, შენ ერთს, შემოქმედო.
არ მახარებს არც სიმდიდრე, არც ღარიბის ტვირთი მზარავს,
შენს სიყვარულს შევიმოსავ, სიმშვიდეში ჩაძირული შეგღაღადებ
მაღალს,
ჩემი ეგო, დაცემული ბუნების და ბოროტების, მყისიერად
გითმობს გზა-კვალს,
სიყვარულის ზღვაში ჩაძირულს და შენკენ მზირალს შენ ამიხელ
სხვა თვალს,
შენსავ შექმნილ სამყაროში ცნაურდები და ხილულს ხდი შენს
თავს.
მინდა დავეწაფო ღვინოს შენსას, მათრობელას,
ვით მეჯუნნი, სიყვარულით შლეგად ქმნილი, მთას მივმართავ,
ჩემი ფიქრი შენ, ერთადერთს, დაგტრიალებს,
შენ მჭირდები, შენ გარეშე ეულად ვარ.
თუნდაც მომკლან ხელად ქმნილი, არ დაგიდევი,
ვიწრო ბილიკს, შენკენ მავალს, არ გადავალ.
ვიცი, მალე ჩემს ფერფლს ცაში გაფანტავენ,
საფლავიდან ამოგმახებ: „შენთანა ვარ“.
ფიქრობენ, რომ სამოთხეში ნეტარება გველის,
იქ მდიდრული კოშკებია, ფერიაა ბევრი.
ო, არ მინდა მე სიკეთე, რომელიც იქ მელის,
შენს წიაღში ჩაძირვა მსურს, გთხოვ, მომკიდო ხელი.
მე, იუნუსს, ღვთიურ ცეცხლის წაკიდება მშველის,
ორსავ სოფელს ერთი მიზნით ვიყო შენი მხლები.